# ო ქ მ ი N 6

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი. 25 ივლისი 2024 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.ფრიდონ შონია

5.დიტო ხასია

6.ბადრი რიჟამაძე

7.ჯანსუღ ჯიშკარიანი

8.მოგელი ხუხია

9.მალხაზ იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

**დღის წესრიგი:**

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 24 ივნისის N50 – 502417626 წერილის განხილვა:

=ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

=ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 24 ივნისის N50 – 502417627 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი

მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N 8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

**კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:**

**კენჭის ყრის შედეგები:** მომხრე 9, წინააღმდეგი არც ერთი.

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

**დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:**

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ’ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მიმდინარე წლის მაისის თვეში მერიაში შევიდა შპს „მაგთიკომის“ წერილი, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხობის კულტურის სახლის (ს/კ 45.21.25.034) მეორე სართულზე 16,18 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის სააპარატურო ოთახისთვის და შენობის სახურავზე მდებარე 1 კვ.მ ფართის GSM სისტემის ანტენების განსათავსებლად პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე. ზემოთ აღნიშნულ ქონებას შპს „მაგთიკომი“ 2014 წლიდან სარგებლობს ქირავნობის უფლებით, გამომდინარე იქიდან, რომ შპს კეთილსინდისიერად ასრულებს დღემდე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მერიის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წარმოდგენილი წინადადების დაკმაყოფილება და წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის საფუძველზეც, აღნიშნული ფართი პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით ხუთი წლის ვადით გადაეცემა შპს „მაგთიკომს“.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

**კენჭის ყრის შედეგები**: მომხრე 9,, წინააღმდეგი არც ერთი.

**დაადგინეს:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

2.“ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით ((თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტს საკუთრებაში ერიცხება სპეციალიზებული ავტომანქანა „ნაგავმზიდი“, IVECO EUROCA RGOML 120 E22 მარკის, გამოშვებული 2023 წელს, რომელიც მუნიციპალიტეტის მხრიდან შესყიდულ იქნა 2024 წელს, სახელმწიფო ნომერი NT – 548 NN, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 344500 ლარს. მერიის წინადადებით აღნიშნული ავტომანქანა თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადაეცემა შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“, რაზედაც წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა სამართლებრივი საფუძველი „საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“. და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8დეკემბრის N 669 დადგენილება.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

**კენჭი** ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

**კენჭის ყრის შედეგები:** მომხრე9, წინააღმდეგი არც ერთი.

**დაადგინეს:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

**3.**ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 24 ივნისის N50 – 502417627 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N 8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე"

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად სისტემურ - ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობებზე გაიზარდა მოსაკრებლის ოდენობები, კერძოდ სამორინის, სათამაშო აპარატების და ტოტალიზატორის თამაშობებზე. ზემოთ აღნიშნული აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მერიის მიერ წარმოდგენილი იქნა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე".

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სამართლებრივი საფუძველი „საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ" და საქართველოს კანონი „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ".

„ ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის

28 თებერვლის N8 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და მე - 5 მუხლი „დ“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ“ სისტემურ - ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობებზე:

„დ.ა“ სამორინის თამაშობებზე - კვარტალში 250 000ლარი.

„დ.ბ“ სათამაშო აპარატების თამაშობებზე - 250 000 ლარი.

„დ.გ“ ტოტალიზატორის თამაშობებზე - 250 000 ლარი.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი დადგენილების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

**კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:**

**კენჭის ყრის შედეგები:** მომხრე 9, წინაღმდეგი არც ერთი.

**დაადგინეს:** წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/.